TBC BANK

1. <u>სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული შეზღუდვები</u>

თიბისი ბანკი ოპერირებს საერთაშორისო სანქციების რეგულაციების შესაბამისად და დანერგილი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), დიდი ბრიტანეთის (UK), აშშ-ის (USA) და ევროკავშირის (EU) სანქციების რეჟიმებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

თიბისი ბანკი მუდმივად აახლებს თავის შიდა პოლიტიკა/პროცედურებს სანქციების რეჟიმების ცვლილებებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თიბისი ბანკში სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებით იმოქმედებს შემდეგი მნიშვნელოვანი პოლიტიკა:

1.1. **აშშ-ის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC) ახალი ბრძანებით გამკაცრდა უცხოური ფინანსური ინსტიტუტების ვალდებულებები რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე.** შეზღუდვებიდან გამომდინარე, **რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებული ოპერაციების** შესასრულებლად ბანკის მიერ შესაძლოა მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია /ინფორმაცია (მაგ: ინვოისი, კონტრაქტი, საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი და ა.შ). გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დაუშვებელია ტრანზაქციების შესრულება იმ პირების მონაწილეობით, რომლებიც არიან სანქცირებულნი ან ოპერირებენ **რუსული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის** სასარგებლოდ.

1.2. **ბანკის შიდა პოლიტიკით დაუშვებელია სანქცირებულ ქვეყნებთან, მათ შორის, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან პირდაპირ/ირიბად დაკავშირებული ტრანზაქციების შესრულება**, რაც ასევე გულისხმობს ამავე ქვეყნის ტერიტორიის გავლით და/ან ირანში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებით (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო) ტვირთების ტრანსპორტირებას, ან იმგვარ ტვირთებთან/გადაზიდვებთან დაკავშირებულ ანგარიშსწორებას, სადაც საქონლის წარმოშობის ან ტრანსპორტირების ქვეყანა არის ირანი,ან სხვა სანქცირებული ქვეყანა.

2. <u>საზღვარგარეთ თანხის გადარიცხვის პირობები</u>

2.1. **თუ თქვენი კომპანია გეგმავს თანხის გადარიცხვას შემდეგ ქვეყნებში:**

- **I ჯგუფი** - ჩინეთი, სინგაპური, ინდოეთი, ჰონგ-კონგი, მალაიზია, ინდონეზია, სამხრეთ კორეა, ფილიპინები, ტაივანი, ერაყი, პაკისტანი, შრი-ლანკა (ყოფილი ცეილონი), ომანი, იემენი, კატარი, ტაილანდი, მიანმარი (ყოფილი ბურმა), ვიეტნამი, საუდის არაბეთის სამეფო, თურქმენეთი, ქუვეითი, ბაჰრეინი, ბანგლადეში, კამბოჯა, ბრუნეი, ლაოსი, ბჰუტანი, ნეპალი;
- **II ჯგუფი** - თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბელორუსია

- **III ჯგუფი** - არაბთა გაერთიანებული საემიროები

2.2. **გთხოვთ გაითვალისწინოთ თიბისი ბანკის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული პირობები:**

- **თუ გადარიცხვის შესრულებისას, პირდაპირი ან ირიბი მიზნობრიობა არის საქონლის შეძენა/მიწოდება** /იმპორტი/ ტრანსპორტირება **ნებისმიერ ვალუტაში გადარიცხვის შესრულების დროს** აუცილებელი წესით უნდა ატვირთოთ ინტერნეტ ბანკში ან წარმოადგინოთ ფილიალში **ინვოისი** ან/და **კონტრაქტი** და დამატებით:
    - **საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი** - II და III ჯგუფის ქვეყნებში გადარიცხვისას
    - **საქონლის ტრანსპორტირების დოკუმენტი** – I და III ჯგუფის ქვეყნებში გადარიცხვისას

გამონაკლისი: II ჯგუფის ქვეყნებიდან თურქეთში თურქული ლირის (TRY) გადარიცხვის დროს საჭიროა მხოლოდ **ინვოისი ან/და კონტრაქტი და არ არის საჭირო საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი.**

2.3. **თუ გადარიცხვის მიზნობრიობა არ უკავშირდება საქონლის შეძენა/მიწოდებას, მაგრამ შინაარსობრივად უკავშირდება კომერციულ საქმიანობას (მაგ: სერვისი, მომსახურება)** ნებისმიერ ვალუტაში გადარიცხვის დროს უნდა ატვირთოთ ინტერნეტ ბანკში ან წარმოადგინოთ თიბისი ბანკის ფილიალში:

- **ინვოისი ან/და კონტრაქტი -** II და III ჯგუფის ქვეყნებში გადარიცხვისას

გამონაკლისი: თურქეთში ნებისმიერ ვალუტაში გადრიცხვისას თუ გადარიცხვა არ უკავშირდება საქონლის შეძენა /მოწოდებას მაშინ არ არის საჭირო ინვოისი და ან/ კონტრაქტის წარმოდგენა ;

3. უცხო ქვეყნებიდან თანხის ჩარიცხვის პირობები

3.1. თუ თქვენ გეგმავთ უცხო ქვეყნიდან თანხის მიღებას **შესაძლებელია ჩარიცხვა შეჩერდეს ბანკის მიერ და თქვენ ინტერნეტ ბანკში შეტყობინებით მიიღოთ მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე.** მნიშვნელოვანია მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენა სხვა შემთხვევაში გადმორიცხული თანხა უკან დაბრუნდება.

3.2. აღნიშნული წესი უკავშირდება ყველა ქვეყანას განსაკუთრებით ჩარიცხვებს შემდეგი ქვეყნებიდან: **აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბელორუსია, არაბთა გაერთიანებული საემიროები.**

4. <u>დოკუმენტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები</u>

4.1. საქონლის შეძენასთან/მიწოდებასთან დაკავშირებული **ინვოისი / კონტრაქტი** უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- მხარეები და მათი რეკვიზიტები
- ინვოისის / კონტრაქტის თარიღი და ნომერი
- თანხა და ვალუტა
- გადახდის პირობები
- მიწოდების პირობები – INCOTERMS
- მიწოდების ვადები
- პროდუქციის მახასიათებლები: რაოდენობა, წონა / მოცულობა
- პროდუქციის მწარმოებლის დასახელება
- პროდუქციის მწარმოებლის იურიდიული მისამართი
- პროდუქციის წარმოშობის ქვეყანა
- სასაქონლო ნომენკლატურა, დასახელება (HS კოდი)

4.2. **საქონლის ტრანსპორტირების დოკუმენტი** - იგულისხმება მიმდინარე ტრანზაქციასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების დოკუმენტები, როგორებიცაა:

- CMR – საავტომობილო გადაზიდვის სატრანსპორტო დოკუმენტი
- RWB – სარკინიგზო გადაზიდვის სატრანსპორტო დოკუმენტი
- MAWB – საჰაერო გადაზიდვის სატრანსპორტო დოკუმენტი
- MBL – საზღვაო გადაზიდვის სატრანსპორტო დოკუმენტი

4.3. **ინვოისი / კონტრაქტი და საქონლის ტრანსპორტირების დოკუმენტი შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან,** სხვა შემთხვევაში შესაძლოა ბანკის მხრიდან მოთხოვნილი იქნეს დამატებითი დოკუმენტები.

4.4. **საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი -** იგულისხმება დოკუმენტი, რომლითაც დგინდება საქონლის მწარმოებელი ქვეყანა ან/და საქონლის მწარმოებელი.

5. <u>გაცნობებთ, რომ სანქციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების გამოვლენის შემთხვევაში, ბანკი უფლებას იტოვებს:</u>

5.1. შეაჩეროს ტრანზაქცია (გადარიცხვა/ჩარიცხვა) დამატებითი განხილვის მიზნით და მოითხოვოს დოკუმენტაცია (კლიენტთან კომუნიკაცია მოხდება **ინტერნეტ/მობაილ ბანკის შეტყობინებით)**

5.2. მომხმარებლის მიერ წარსულში შესრულებულ ტრანზაქციებზე მოითხოვოს დოკუმენტაცია;

5.3. გააუქმოს ტრანზაქცია როდესაც არ ხდება მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოდგენა და/ან შეუსაბამობაში მოდის ბანკის შიდა პოლიტიკასთან (კლიენტთან კომუნიკაცია მოხდება **ინტერნეტ/მობაილ ბანკის შეტყობინებით)**

5.4. დახუროს მომხმარებლის ანგარიშები (წინასწარი შეტყობინების გარეშე).